ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წ ყ ა ლ ტ უ ბ ო
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 36 47

17/06/2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 10 ივნისის N/31/2300 წერილი, რომლითაც მერი შემოდის წინადადებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხები არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხები, რომელიც საჭიროებს სასწრაფოდ განხილვას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 26–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ" ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2020 წლის 19 ივნისს, 13:00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1) „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

/მომხს. რომეო ნიჟარაძე/

2) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

/მომხს. რომეო ნიჟარაძე/

3) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №36 190 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

/მომხს. რომეო ნიჟარაძე/

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

ა) ბრძანების გამოქვეყნება;

ბ) საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

გ) საკრებულოს წევრთა რეგისტრაცია 12:30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს კობა გურეშიძეს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ანალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ